



ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა

პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდი
(პროგრამის დამფუძნებელი)

და

ფონდი ცვლილებათა ლიდერები
(პროგრამის ადმინისტრატორი)

აცხადებენ მორიგ ღია კონკურსს ქვეყნებისათვის:
უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი,
ყაზახეთი და ყირგიზეთი

ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 2018/2019 აკადემიური წლისათვის

პროგრამა მიმართული არის უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ლიდერებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთ ქვეყნებში და რეგიონებში დემოკრატიის, ეკონომიკის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით. პროგრამის ხორციელდება პოლონეთის 5 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში (ვარშავა, კრაკოვი, ვროცლავი, ლუბლინი, პოზნანი), რომელიც ორი სემესტრის განმავლობაში სწავლებას და სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებში 2-4 კვირის განმავლობაში პროფესიონალური სტაჟირებას მოიცავს.

სფეროები:

- ეკონომიკა და მართვა
- ადმინისტრირება/ მართვა (ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, კულტურა, გარემოს დაცვა, ჯანდაცვის სამსახური, განათლება)
- საჯარო ადმინისტრაცია (სამთავრობო და თვითმმართველობა)
- სამართალი
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, სოციოლოგია)
- პოლიტიკური მეცნიერებები და საერთაშორისო ურთიერთობი
- განვითარების პოლიტიკა და ჰუმანიტარული დახმარება

სტიპენდიის ფარგლებში დაწერილი სადიპლომო ნაშრომი შეიძლება იყოს სამეცნიერო ან პრაქტიკული ხასიათის. (მეორე შემთხვევაში, სადიპლომო ნაშრომის შესავალი უნდა იყოს სამეცნიერო ხასიათის)

დაფინანსების პირობები:

- ყოველთვიური სტიპენდია 1800 ზვოტის ოდენობით (9 თვის განმავლობაში)

ამასთანავე, პროგრამის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყოველთვიურად შემდეგი ხარჯების ანაზღაურებას (4200 ზვოტამდე ოდენობით):

- საცხოვრებელი პოლონეთში (9 თვის განმავლობაში)
- სამედიცინო დაზღვევას
- პოლონეთში გამგზავრებისა და უკან გამომგზავრების ხარჯებს
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ხარჯებს
- სავიზო
- სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარის შეძენის ხარჯებს (2700 ზვოტის ოდენობით)
- სტუდენტთა საორიენტაციო-საინტეგრაციო ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯებს
- პოლონური ენის კურსს (ოქტომბერი-ივნისის თვის განმავლობაში)



ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა

სასტიპენდიო პროგრამა:

- პროგრამის ინაოგურაცია (2018 წლის სექტემბრის მეორე ნახევარი) და საინფორმაციო-მოსამზადებელი კურსი (8-10 დღე, 2018 წლის სექტემბრის მეორე ნახევარი)
- ლექციები (ორი სემესტრი) ერთ-ერთ წარმოდგენილ უნივერსიტეტში: ვარშავაში, კრაკოვში, ლუბლინში, ვროცავში, პოზნანში.
- სადიპლომო ნაშრომის ნაწილის მომზადება ყოველი სემესტრის ბოლოს
- სტიპენდიისტთა 3-4 გამგზავრება საინტეგრაციო-სამუშაო ხასიათის
- პროფესიული სტაჟირება (2-4 კვირა)
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და პოლონური ენის კურსი (2 სემესტრი)
- დასკვნითი ღონისძიება, დიპლომების საზეიმო გადაცემა (2018 წლის ივნისის თვის დასასრული)

კანდიდატები:

2018/2019 აკადემიურ წელს ლეინ კირკლანდის სახელობის პროგრამა გათვალისწინებულია პიროვნებებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ შემდეგ სფეროებს:

- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები
- იურისტები
- მეწარმეები, მენეჯერები
- კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები
- არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, კულტურის და საზოგადოებრივი აქტივობის ანიმატორები
- უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები
- ჟურნალისტები

აუცილებელი მოთხოვნები:

ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეობა ან მუდმივი ცხოვრების უფლება (პოლონეთის მოქალაქე ან პოლონეთში მუდმივად მცხოვრები პირი არ დაიშვება კონკურსში)

- სრული უმაღლესი განათლება (მაგისტრის წოდება)
- ასაკი 35 წლამდე (დასაბუთებულ შემთხვევებში 40 წლამდე)
- პოლონური ენის ცოდნა იმ დონეზე, რომელიც აძლევს კანდიდატს სემინარებსა და ლექციებში მონაწილეობის და სადიპლომო ნაშრომის დაწერის საშუალებას; ინგლისური ენის ცოდნა - კონკრეტული კურსის ამ ენაზე არჩევის შემთხვევაში (ასეთ სიტუაციაში დასაშვებია პოლონური ენის ნაკლებ დონეზე ცოდნა)
- პროფესიული გამოცდილება – მინიმუმ 2 წელი

კანდიდატები სომხეთიდან, საქართველოდან, მოლდოვიდან, ყაზახსტანიდან, ყირგიზტანიდან და რუსეთიდან, რომლებიც სასწავლებლად ინგლისურ ენას ირჩევენ, ვადებულნი არიან ამასთანავე მიუთითონ შესაბამის ზემოაღნიშნულ ხუთ სასწავლო დაწესებულებიდან ერთ-ერთში კონკრეტული შემთავაზების არსებობის შესახებ.

- ლეინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის მიღების შემთხვევაში სწავლა შესაძლებელია პოლონურ ან ინგლისურ ენებზე. ინგლისური ენის შემთხვევაში კანდიდატმა უნდა მიუთითოს კონკრეტული პროგრამა მოცემულ ენაზე (ასეთ დროს მისაღებია პოლონური ენის საბაზისო ცოდნა). ამ შემთხვევაში, აღნიშნული კანდიდატები ვალდებულნი არიან გასაუბრებაზე წარმოაჩინონ ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 და პოლონური ენის ცოდნა A1 დონეზე. კანდიდატები, რომლებიც გაივლიან ზეპირ გასაუბრებას, მაგრამ არ აღმოაჩნდებიან პოლონური ენის საკმარისი ცოდნა, შესაძლებლობა ექნებათ, 2018 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ჩააბარონ პოლონური ენის გამოცდა (პროგრამის ადმინისტრაცია



ლიენ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა

უზრუნველყოფს გამოცდისთვის მოსამზადებელი ინვენტარის კანდიდატისთვის გადაცემას).

მონაწილეობის და სადიპლომო ნაშრომის უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც:

- აქტიურობენ როგორც პროფესიულად, ასევე საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში
- აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები ამ სფეროში
- არ სწავლობდნენ პოლონეთში
- კანდიდატები, რომლებიც სასწავლო ენად ირჩევენ პოლონურს

შერჩევის პროცესი:

სამეტაპიან პროცესის შედეგად აირჩევა დაახლოებით 45 საუკეთესო კანდიდატი:

- I ეტაპი – ანკეტების ფორმალური შეფასება
- II ეტაპი – ანკეტების შინაარსობრივი შეფასება მოცემული თემის ექსპრეტის მიერ
- III ეტაპი – საკვალიფიკაციო გასაუბრება (დაგეგმილია 30.03 – 30.04.2018)

III ეტაპისათვის მოწვეულ კანდიდატებს ინფორმაცია მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტით ან სატელეფონო ზარის მეშვეობით 2018 წლის მარტის ბოლოს. ინფორმაცია კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ გამოიგზავნება ელექტრონული ფოსტით 2018 წლის ივნისი/აგვისტოს პერიოდში.

განაცხადისთვის საჭირო საბუთები:

ვებ-გვერდზე, ელექტრონულად შევსებული ონ-ლაინ განაცხადი:

- ანკეტის ფორმა, პირადი მონაცემებით.
 - საკვლევი პროექტის აღწერა – განმარტება, თუ რატომ გსურთ მიიღოთ მონაწილეობა კირკლანდის პროგრამაში და შეთავაზებები კანდიდატის პოლონეთში სამომავლო აქტივობების შესახებ, ზოგადი სამომავლო გეგმები (4000 – 6000 სიმბოლო ინტერვალებით).
2. ორი სარეკომენდაციო წერილი კანდიდატის მიღწევების, კვალიფიკაციისა და იმედების მისი მომავალი პროფესიული და საზოგადოებრივი განვითარების შესახებ (პოლონურ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე), გამოგზავნილი ელექტრონული ფოსტით
 3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი (ან მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის ასლი), ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი.

კანდიდატების განაცხადების გადმოგზავნის წესი:

დაწვრილებითი პროგრამა, განაცხადის შევსების ინსტრუქცია და აპლიკაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.kirkland.edu.pl ან პროგრამასთან უშუალოდ ელექტრონული მიმოწერის გზით.

განაცხადი უნდა შეივსოს on-line რეჟიმში. განაცხადის შევსების შემდეგ უნდა ამოებჭდოთ სისტემის მიერ გამოთქმული თქვენი აპლიკაციის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამოებჭდილი დოკუმენტს უნდა მოაწეროთ ხელი, გვერდს თან უნდა დაერთოს კანდიდატის სურათი და გაიგზავნოს ფოსტით კირკლანდის პროგრამის მისამართზე.

ზემოაღნიშნული ორი სარეკომენდაციო წერილი და დიპლომის ასლი, ასევე უნდა იქნეს გაგზავნილი სხვა მოთხოვნილ საბუთებთან ერთად პროგრამის მისამართზე.



ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა

ანკეტის გამოგზავნის ვადა:

ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამაზე 2018/2019 წლისთვის განცხადებების მიღების ბოლო ვადა იწურება:

2018 წლის 1 მარტს

მოცემული ვადის გადაცილებით შემოსული განაცხადი არ განიხილება.

პროგრამის მფარველი არის ლეინ კირკლანდი (1922 – 1999) ამერიკული პროფკავშირების მრავალწლიანი მეთაური (AFL-CIO), პოლონურ-ამერიკული საწარმო ფონდის დირექტორთა საბჭოს წევრი; პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი. 80-ან წლებში თავისი აქტიურობით და ავტორიტეტით ეხმარებოდა პოლონურ „სოლიდარობას“. მხარს უჭერდა აგრეთვე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მისწრაფებას თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. ის დააჯილდოვეს უმაღლესი ჯილდოებით, კერძოდ ამერიკული „თავისუფლების მედლითა“ და პოლონური „თეთრი არწივის ორდენით“.

საკონტაქო ინფორმაცია:

Fundacja Liderzy Przemian
www.leadersofchange.pl

ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამის მისამართი

al. Jerozolimskie 133 lok. 56, 02-304 Warszawa

E-mail: kirkland@kirkland.edu.pl

www.kirkland.edu.pl

POLSKO-AMERYKAŃSKA
FUNDACJA WOLNOŚCI



POLISH-AMERICAN
FREEDOM FOUNDATION

POLSKO-AMERYKAŃSKA FUNDACJA WOLNOŚCI (PAFW) – პროგრამის დამფინანსებელი

ფონდმა თავისი საქმიანობა 2000 წელს დაიწყო. ფონდი მთავარ მიზნად ისახავს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებას, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი განვითარების მანსების გათანაბრებას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ასევე პოლონეთის გამოცდილების გაზიარებას ცენტრალურ და აღმოსავლური ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების სფეროში. ფონდი ფინანსდება ფონდის შემოსავლებიდან, რომლის წყაროს პოლონურ-ამერიკული სამეწარმეო ფონდის სახსრები წარმოადგენს. ამ დრომდე სამეწარმეო ფონდმა



ლეინ კირკლანდის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა

გადმორიცხა ფონდის ანგარიშზე 250 მილიონი აშშ დოლარი. 2000 წლიდან ფონდმა პროგრამების განხორციელებაზე 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოყო.

ფონდის პროგრამებს ახორციელებენ სხვადასხვა პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციები ფონდის მიერ შემუშავებული პრინციპების და პროცედურების თანახმად. საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: განათლება, ადგილობრივი საზოგადოების განვითარება, მოქალაქე დემოკრატიულ ქვეყანაში, ასევე პოლონური გამოცდილების გაზიარება საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებების სფეროში.

ლეინ კირკლანდის სასტიპენდიო პროგრამა არის პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის გრძელვადიანი ღონისძიება, რომელიც დაიწყო 2000 წელს და 2001 წლიდან ადმინისტრირებულია ფულბრაიტის კომისიის მიერ ვარშავაში. ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტში: <http://www.pafw.pl>